საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას

საჩივარი

2017 წლის 15 ივნისს რუსთავი 2-ის ეთერში გავიდა მაია ასათიანის საავტორო გადაცემა პროფილი. „პროფილში“ მოწვეული იყო მარიამი- 5 შვილის დედა, ყოფილი ჟურნალისტი, რომელიც თავს სექს სამუშაოთი ირჩენს.

აღნიშნულ გადაცემაში დაირღვა ჟურნალისტური ეთიკის შემდეგი პრინციპი:

ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატა შემდეგი მოქმედებებით:

ჟურნალისტის მიერ ეთიკის ქარტიის პრინციპების დარღვევა პირველ რიგში გადაცემის ფორმატში გამოიხატა. გადაცემის პირველ ნაწილში სექს-მუშაკი ქალი ყვება თავის ისტორიას და ხოლო გადაცემის სტუმრები მას უსმენენ, მეორე ნაწილში სტუმრები განსჯიან გმირის გადაწყვეტილებას, რამდენად სწორად მოიქცა, ჰქონდა თუ არა მას არჩევანი. წამყვანი სვამს ამ შეკითხვებს: ჰქონდა თუ არა მარიამს არჩევანი, შეეძლო თუ არა სხვა გზა აერჩია. წამყვანი ეკითხება ჯერ მოწვეულ სტუმრებს, შემდეგ კი დამსწრე საზოგადოებას ამართლებენ თუ არა ისინი მარიამს.

გადაცემის გმირის ისტორიის განხილვა ხდება მორალურ და რელიგიურ ჭრილში, წამყვანი თვითონ საუბრობს სექს მუშაკობის მორალურ მხარეზე იგი ეკითხება მარიამს როგორ არის შინაგანად, არ არის ეს მორალურად ძნელი? გადაცემის სტუმრები კი ადანაშაულებენ, კიცხავენ მას, იმის გამო რომ სხვა უფრო პატიოსანი გზებით ვერ შოულობს ფულს.

წამყვანი ერთი მხრივ მხარს უჭერს მარიამ და თითქოს თანაუგრძნობს კიდეც თუმცა ზიზღით საუბრობს იმ პირებზე, ვინც ამას ახალი ფეხსაცმლის თუ 500 დოლარის სანაცლოდ აკეთებენ. იგი გადაცემის ერთ-ერთ სტუმარს რამდენჯერმე ეკითხება ჰქონია თუ არა სექსი ფულის სანაცვლოდ და ეჭვი შეაქვს მის მიერ შეძენილი ქონების „პატიოსნებაში“.

სექს-მუშაკების სტიგმატიზება (**სტიგმა -ფიზიკური ან სოციალური თვისება, ნიშანი, რომელიც ახდენს აქტორის ან ჯგუფის სოციალური იდენტობის დევალვაციას და დისკრედიტაციას. ს.შეიძლება იყო სხეულებრივი ნიშანი (მაგ., ფიზიკური სიმახინჯე), ანდა, ისეთი სოციალური მახასიათებლები, როგორიცაა ინდივიდის კრიმინალური რეპუტაცია ან ჯგუფის მიკუთვნება განსაზღვრული რასისადმი (მაგ., შავკანიანთა რასისადმი). შესაძალოა ს.**

იყოს ხილული (აშკარა დისკრედიტაცია) ან ფარული (პოტენციურად დისკრედიტებული). ფარული ს. უფრო მეტად იძლევა შესაძლებლობას, რომ ინდივიდმა მართოს საკუთარი თავი და ადაპტირებდეს გარემოსთან. თუმცა, როგორც აშკარა, ისე პოტენციური დისკრედიტაციის შემთხვევაში აქტორის პრობლემა ისაა, რომ მოძებნოს ადეკვატური საშუალებები, რათა არა მხოლოდ შეამციროს თავისი მდგომარეობის მავნე შედეგები, არამედ სასარგებლოდაც კი აქციოს იგი.) (სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სტიგმა სოციალური კონტროლის ძლიერი ინსტრუმენტია. ის გამოიყენება ინდივიდების გარიყვისთვის ან/და იმ ინდივიდებზე ძალის დემონსტრირებით, რომლებსაც აქვთ გარკვეული მახასიათებლები[1])

არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს მათ იმ პირებთან შედარებით ვინც სხვა გზით ირჩენენ თავს, სექს-მუშაკები წარმოჩინდებიან, როგორც მორალური და რელიგიური ღირებულებების არ მქონე პირები, რომელთაც შრომა ეზარებათ და უფრო მარტივად შოულობენ ფულს. მათ კიცხავენ და ადარებენ ძიძებს, მომვლელებს, პირებს ვინც მოწყალებას ითხოვს და წარმოაჩენენ როგორც საზოგადოების ყველაზე დაბალი კლასის წევრებს. სექს-მუშაკები ისედაც გარიყულნი არიან ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მათი ასეთი დამცირება და გაკიცხვა კიდევ უფრო ზრდის მათი უფლებების დარღვევისა და დისკრიმინაციის საფრთხეს.

ქვემოთ წარმოგიდგენდეთ გადაცემაში წარმოთქმულ მასტიგმატიზებელ და დისკრიმინაციულ ფრაზებს შესაბამისი წუთების მითითებით.

გადაცემის სტუმარი ირმა სოხაძე ამბობს მე არ იმას ვამბობ, ზოგი რომ ამბობს რატომ გააჩნია 5 შვილი გაეჩინა 2 და მიეხედა (16:00), თუმცა საუბრის მიმდინარეობისას ზუსტად ამ შინაარსის ლოგიკას ავითარებს.მაგ.: აქვს სხვათაშორის ამ აზრსაც არსებობის უფლება. ვის იმედად ჩნდება ბავშვები თუ შენ არ შეგიძლია მიხედო. 18.00 ირმა სოხაძე: ჩემ ირგვლივ ვინც არის,ყველას ძიძებიც გვყავს, მოვლელებიც ერთი დღე არ აქვთ თავისუფალი იმ ხალხს. შენ რატომ არ აირჩიე ეს გზა მარიამ?

გადაცემის სტუმარი ირმა სოხაძე ასევე საუბრობს სექს-სამუშაოს მორალურ მხარეზე ადარებს მას სახლის დალაგებას, ბავშვების გაზრდას და „ადანაშაულებს“, „პასუხს სთხოვს“ გადაცემის მთავარ გმირს, რატომ აირჩია ეს გზა.

21.30 წამყვანი ეკითხება სტუმარს, ანუ თქვენ ფიქრობთ რომ იყო გამოსავალი და მარიამი შეიძლება სხვა გზას დადგომოდა ? აუცილებლად.

23.12 გადაცემის სტუმარი თამუნა მუსერიძე: მე ვფიქრობ რომ ადამიანი რომელიც მოინდომებს სამსახურის მოძებნას მას აუცილებლად იპოვის.

23.53 წამყვანი რა გამოდის მან გამოსავლი ვერ მოძებნა და გამოსავალი იყო?

24.12 სტუდიაში მყოფი ქალბატონების დიდი ნაწილი ამტყუნებს ჩვენ მთავარ გმირს. ეს ასეა? (წამყვანი)

[1] http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4000.pdf

36.30 წამყვანი მიმართავს სტუმარს: მამაკაცი ხარ ამართლებ თუ არ ამართლებ?

51.35 გადაცემის წამყვანი ეკითხება დამსწრე საზოგადოებას ჰქონდა თუ არა მარიამს სხვა გამოსავალი.

19.35 წუთზე გადაცემის სტუმარი განსჯის მთავარ გმირს და მიუთებს: ეს ძალიან ცუდი გზაა, თქვენ თვითონ ინადგურებთ თავს.

19.50 იმ 50 ლარისთვის თავს იღუპავთ და ინადგურებთ.

36.30 სტუმარი ზურა ხაჩიძე რელიგიურ კონტექსტში განიხილავს გადაცემის გმირის ამბავს და ამბობს: მე არ განვიხილავ მას როგორც მრუშს.

37. 10 ვერ შეძლო ქალბატონმა პატიოსანი გზით ეშოვა თანხა. (ზურა ხაჩიძე)

40.40 გიორგი სუხიტაშვილი მერჩივნა კარდაკარ ევლო და მოწყალება ეთხოვა.

წამყვანი კითხვის დასმისას ხაზს უსვამს სექს-სამუშაოს მორალურ მხარეზე. 7-15 წუთზე მაია ასათიანი გადაცემის გმირს უსვამს შეკითხვას: მორალურად არ იყო ეს ძნელი? 9-50 წუთზე წამყვანი კვლავ ეკითხება მარიამს: შინაგანად როგორ ხართ? წამყვანი სიტყვა-სექს-სამუშაოს ან სექსუალური მომსახურების ნანაცვლად სვამს შეკითხვას ბოლოს როდის იყავით ამ ამბავში 11-15. სად ხდება ხოლმე ეს? (11;30) 16:30 წუთზე მაია ასათიანი ამბობს: ის საკუთარ თავს ანადგურებს ამით. იგივე ფრაზას იმეორებს 52.30 წუთზე საკუთარ თავს ანადგურებს გურამ. წამყვანი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სექს სამუშაოს მორალურ მხარეს და მიიჩნევს მას საკუთარი თავის განადგურებად. რაც ქმნის სექს-მუშაკებთა სტიგმატიზების და სექს-მუშაკთა შორის შორის თვითსტიგმის გაზრდის საფრთხეს. 7-50 წუთზე მაია ასათიანი ეკითხება მარიამს : ხშირად გიწევთ მეძავობა? მაპატიეთ მე ამას რომ გეკითხებით, მე არ ვთვლი რომ მეძავი ხართ. 12.10 წუთზე როდესაც წამყვანი მიმართავს ანი მიროტაძეს კითხვით. ანი მიროტაძე საუბრობს პროსტიტუციაზე- პროსტიტუცია არის ყველა ქვეყანაში. მაია ასათიანი კი პასუხობს ეს ის შემთხვევა არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ გადაცემის-გმირი მარიამი სექს სამუშაოში ფულს იღებს, წამყვანი ხაზს უსვამს რომ იგი მის თვალში მეძავი არ არის, თუმცა გადაცემის მეორე ნაწილში აფიქსირებს უარყოფით დამოკიდებულებას იმ პირების მიმართ, რომლებიც ამას ახალი წყვილი ფეხსაცმლისთვის ან 500 აშშ დოლარად აკეთებენ. გადაცემის

26.35 წუთი წამყვანი:

ადამიანი ამას ლამაზი ფეხსაცმლის გამო კი არ აკეთებს, რომელიც 1000 ევრო ღირს, ამას აკეთებს იმიტომ, რომ სახლში პური მიიტანოს, მაპატიეთ მაგრამ მე ვიცნობ ქალბატონებს, რომლებიც კიდევ ერთი მეთერთმეტე წყვილი ფეხსაცმლის გამო აკეთებენ ამას. ვიცნობ

შევხვედრივარ ასეთ ქალებს,არაფერი საერთო ამ ქალბატონებს მარიამთან არ აქვთ, მაგრამ ჩვენ გარშემო ცხოვრობენ ასეთი ქალები, რომლებიც დოლჩე და გაბანას ფეხსაცმლის გამო რომ აკეთებენ ამას.

35.40 წამყვანი: ფაქტია სიამოვნებას ამით არ ღებულობს დამატებით მე-15 ფეხსაცმელს არ ყიდულობს.

32.15 და ჩემთვის ის უფრო მეძავია ვინც ამას 500 დოლარად აკეთებს.

წამყვანი განასხვავებს ზოგადად პროსტიტუციას და ამ კონკრეტულ შემთხვევას. იგი ამართლებს და ცდილობს მხარი დაუჭიროს ამ კონკრეტულ ქალს ამ შემთხვევაში, თუმცა ამ ფრაზით _ ეს ის არ არის, ეს არ არის პროსტიტუცია- იგი მიუთითებს პროსტიტუციის მორალურ მხარეზე. წამყვანი ამართლებს პროსტიტუციას, თუმცა მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების შემთხვევაში.

გადაცემის 30.55 წუთზე წამყვანი რამდენჯერმე უმეორებს კითხვას თამუნა ვაშალომიძეს არასდროს არ აგიღია სექსში ფული? , ჭორები გამიგია, ანუ მერკანტილური გაგებით მამაკაცთან არასდროს ყოფილხარ? არასოდეს? ანუ მარიამი მეძავია?

30.43 და აი ფული როგორ შეაგროვე შეიძლება გკითხო? ჩემი სახლი ავლაბარში 10 წლით არის ჩადებული, მე მაია ასათიანი სახლს სხვანაირად ვერ ვიყიდდი, კომერციულ ფართზე ხო ლაპარაკი ზედმეტია, შენ მუშაობდი ადმინისტრატორად და ეს შეძელი.

31.15 როგორ იყიდე ეს კომერციული ფართი მასწავლე რა (მაია ასათიანი)

33.15 მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იმ კონკრეტული მძიმე სიტუაციებიდან ამანაც ამოგიყვანა(მას შემდეგ რაც გადაცემაში გავიდა ჩანაწერი სადაც თამუნა ვაშალომიძე მისთვის სექსის სანაცვლოდ შეთავაზებულ თანხებზე საუბრობს.

წამყვანს ეჭვი შეაქვს სტუმრის მიერ ნაშოვნი ფულის „პატიოსნებაში“ საკუთარი მაგალითის მოტანით და საკმაოდ დაეჭვებული ეკითხება ყოფილა თუ არა მამაკაცთან მერკანტილური მიზნებით.

კავშირი საფარის აღმასრულებელი დირექტორი

ბაია პატარაია

25.06.2017